ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5377066

ნომერი: AR1815107

თარიღი : 20.04.2021

გაცემის თარიღი : 21.04.2021

გაცნობის თარიღი : 21.04.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 133 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 135ა ; ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩაზე, მიონის წინ მიმდებარე ტერიტორია ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 143 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 143 , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N147-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კობა ჯანიკაშვილი პ/ნ 01026006350
- ცაგარელის 45

ნომენკლატურა :

- საგამოფენო დარბაზი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საგამოფენო დარბაზი და მასთან დაკავშირებული საოფისე შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი მურღულია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ურბანიკა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404473071

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ჰობ დეველოპმენტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 42010658
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კობა ჯანიკაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026006350

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5273418
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.02.2021

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს კობა ჯანიკაშვილის 01/04/2021 წლის AR1815107 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 02/02/2021 წლის №5273418 ბრძანებაში და ბრძანების მე–3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 21/04/2021წლიდან 21/04/2024 წლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. “

4. მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები; შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები; შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები; ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;

2. შენობა-ნაგებობების ნულოვანი ნიშნულიდან პირველი და მეორე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;

3. შენობა-ნაგებობების მესამე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;

4. შენობა-ნაგებობების სახურავებისა და გადახურვების მოწყობა; არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;

5. შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინროტექნიკური ქსელების მოწყობა; შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები; მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.06.2020 წლის №4975998 ბრძანებასთან ერთად.

• საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.